პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატისა და პროფკომის ორგანო

ორშაბათი 13 თებერვალი 1939 წ. № 4 (146)

ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასაყრილობო შეჯიბრება

დიდია სიხარული. სსრ კავშირის მშრომელ ხალხში უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ. ეს იმიტომ, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორია მსოფლიოში ყველაზე უძლიერესი ბოლშევიკური პარტია, ის პარტია, რომელიც შექმნა და გამოსჭედა დიდმა ლენინმა, პარტია, რომელსაც სათავეში უდგას ლენინის საქმის უდიდესი განმგრძობი კაცობრიობის გენიოსი დიდი **სტალინი.**

ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება ბედნიერი და საამური გახდა. ეს მოგვცა კომუნისტურმა პარტიამ დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

სწორედ ამიტომ შეჰხარის საბჭოეთის უძლეველი ქვეყანა კომპარტიის XVIII ყრილობის მოწვევას, რომელიც შეაჯამებს საბჭოთა ქვეყნის მიღწევებს და დასახავს სერიოზულ ამოცანებს შემდგომი გამარჯვებებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ყრილობის მოწვევას ახალი საწარმოო აქტივობით უპასუხეს. მუშები, გლეხები და საბჭოთა ინტელიგენტები ვალდებულებათა აღებისა და მისი განაღდებით პასუხობენ ყრილობის მოწვევას.

ყრილობის მოწვევის შესახებ ცნობის მიტინგზე განხილვისას უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა და მუშამოსამსახურეთა ექვსი ათასიან კოლექტივმა ვალდებულება აიღო სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის უფრო გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანით შეეგებოს XVIII პარტყრილობის გახსნას.

უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფიის **საამწყობო საამქრომ** იკისრა ყრილობის გახსნამდე იანვრის თვის 37 პროცენტი ჩამორჩენის დაფარვა, თებერვალ-მარტის გეგმის 105 პროცენტით შესრულება და ამ მიზნით შეჯიბრებაში გამოიწვია **ლითოგრაფიის საბეჭდი საამქრო.** სტამბაში საამქროებს შორის გაიშალა წინასაყრილობო შეჯიბრება.

დოცენტი **ძიძიშვილი** პირობას იძლევა ყრილობის გახსნამდე დაასრულოს და დასაბეჭდათ გაამზადოს მეცნიერული შრომა. ფრიადოსნობის ბოლომდე შენარჩუნებას გვპირდებიან სტუდენტები: **ერვანდ აკოფოვი, არტემ კალანდარიშვილი, შალვა ჭანტურია, მიხეილ უგულავა** და მრავალი სხვა.

ეჭვი არ არის უნივერსიტეტის კოლექტივი ახალი გამარჯვებით შეეგებება XVIII პარტყრილობას.



სურათზე: უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფიის საამწყობო საამქროს მუშათა კოლექტივი, რომლებიც ჩაებენ წინასაყრილობო შეჯიბრებაში

## ახალი წარმატებებით შევეგებოთ XVIII პარტყრილობას

ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა დარგის უდიდეს წარმატებებთან ერთად აღსანიშნავია საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო ზრდაც. შეიძლება ითქვას, რომ XVIII პარტყრილობას ჩვენი მეცნიერება ხვდება, როგორც ჭეშმარიტი საბჭოთა მოწინავე მეცნიერება, რომელიც განთავისუფლდა ვიწრო კარჩაკეტილობის ჩარჩოებიდან და წარიმართა ხალხის საკეთილდღეოდ.

ძლევამოსილი კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობის შედეგად ახალგაზრდობას გაეხსნა გზა მეცნიერული მუშაობისაკენ. მე, როგორც ახალგაზრდა საბჭოელ მეცნიერთა უდიდესი არმიის ერთ-ერთი წევრი, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ XVII პარტყრილობის შემდეგ მეც შევძელი მცირეოდენი წვლილი შემეტანა, როგორც კვლევითი მუშაობის დარგში, ისე კადრების მომზადების საქმეში. მაგრამ ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მსურს XVIII პარტყრილობის გახსნას შევხვდე ახალ ვალდებულებათა შესრულებით, რათა ამით გამოვხატო ჩემი მადლობის გრძნობა **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი.

ეს ვალდებულებანი შემდეგია:

ყრილობის გახსნამდე დასაბეჭდად გავაფორმებ ერთ მეცნიერულ შრომას.

დაეუფლები თავის ტვინის ოპერაციის ტექნიკას.

წავიკითხავ ლექციას გამოსასვლელი დღის უნივერსიტეტში.

დახმარებას გაუწევ ქალაქის განათლების განყოფილების პედკაბინეტს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

დოც. ნ. ძიძიშვილი

## სტამბის მუშათა კოლექტივის დაპირება

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა ლითოგრაფიის საამწყობო საამქრომ მიმდინარე წლის იანვრის თვის გეგმა ვერ შეასრულა. საამქროს იანვრის თვის გეგმის შესრულებაში 37 პროცენტი ჩამორჩენა აქვს.

ამჟამად საამქროს მთელმა კოლექტივმა—უფროსი ამხ. **ვ. ფირაძე**—პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით ვალდებულება აიღო მთლიანად დაჭფარონ იანვრის თვის ჩამორჩენა და თებერვალ-მარტის გეგმა შეასრულონ 105 პროცენტით.

ამავე საამქროს მოწინავე მუშებმა ინდივიდუალურად აიღეს ვალდებულებები გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და ურთიერთ შორის გაშალეს შეჯიბრება. ასოთ ამწყობმა ამხ. **გაჩეჩილაძემ** იკისრა გეგმის 130 პროცენტით შესრულება, **გარსოშვილმა** 130 პროცენტით, **ჩირაძემ** 120 პროცენტით, **ყაზაროვმა** 110 პროცენტით და **კუხიანიძემ** 110 პროცენტით.

გაიშალა XVIII პარტყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. **საამწყობო საამქრომ** შეჯიბრებაში გამოიწვია ლითოგრაფიის საბეჭდი საამქრო.

ლითოგრაფიის საბეჭდ საამქროს კოლექტივმა მიიღო შეჯიბრებაში გამოწვევა და ყრილობის გახსნის დღის—10 მარტისათვის საამქროს გეგმის 125 პროცენტით შესრულება იკისრა.

საამკინძავო საამქროს ბრიგადამ ამხ. **კვინტრაძემ** და ამხ. **მეგრელიშვილმა** იკისრეს გეგმის 120 პროცენტით შესრულება.

გ. ნიქაბაძე

## დავეხმაროთ საშუალო სკოლებს

**მოსკოვის** II სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორთა, მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი, რომელსაც სამეცნიერო შეფობა უკისრია მოსკოვის ფრუნზეს რაიონის სკოლებზე, მიმართავს ღია წერილით (იხ. **„კომ. პრავდა“** 15. XII. 38 წ. და **„ბოლშევიკური კადრებისათვის“** 10. 1. 39 წ.) საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი სკოლების ყველა მეცნიერ მუშაკს მიჰბაძონ მის მაგალითს და საშუალო სკოლებს გაუწიონ დახმარება სკოლის გარეშე მუშაობის მოწყობაში.

ღია წერილის ავტორები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ საშუალო სკოლებში სკოლის გარეშე მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული და დასძენენ, რომ უმაღლეს სკოლებს შეუძლიათ და ვალდებულიც არიან საშუალო სკოლებს დაეხმარონ სკოლის გარეშე მუშაობის მოწყობაში.

მითითება აღნიშნულ ავტორებისა სრულიად სამართლიანია და მათი მოწოდება მიზანშეწონილი, საჭირო და აუცილებელია იმდენად, რამდენადაც საჭირო და აუცილებელია უმაღლეს სკოლების შესავსებ კონტინგენტის ცოდნის გაღრმავება და საერთო ჰორიზონტის გაფართოვება.

ყოველი მეცნიერი მუშაკი, რომელიც დაინტერესებულია ჰყავდეს პირველ კურსიდანვე სათანადოდ მომზადებული მსმენელები, რა თქმა უნდა გულწრფელად გამოეხმაურება აღნიშნულ მოწოდებას და მონაწილეობას მიიღებს საშუალო სკოლის გარეშე მუშაობის მოწყობაში.

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა ნაწილი ახლაც იღებს მონაწილეობას ამგვარ მუშაობაში, მაგრამ აღნიშნული სახის მუშაობა საჭიროა უფრო ორგანიზებული სახით მიმდინარეობდეს–საჭიროა ორგანიზებული იქნეს იგი კათედრებისა და ფაკულტეტების მიერ.

პროფ. ალ. ნამორაძე.

## ბოლომდე შევინარჩუნებთ ფრიადოსნობას

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ვალდებულებას ვღებულობთ მოვამზადოთ და უახლოეს დროში სტუდენტთა სამეცნიერო საჯარო სხდომაზე წავიკითხოთ თითო მოხსენება ქიმიის დარგში.

ვიძლევით პირობას, როგორც დღემდე ისე მომავალშიაც შევინარჩუნოთ ფრიადოსნობის სახელწოდება.

გარდა ამისა გასული წლის დეკემბერში ჩვენ ვალდებულება ავიღეთ ქიმიაში ერთი ნაშრომის მომზადების შესახებ. ამ მიზნით სათანადო მუშაობა დავიწყეთ. ამჟამად კიდევ უფრო გავაძლიერებთ ამ დარგში მუშაობას.

ე. აკოფოვი
მ. უგულავა

ქიმიის ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტები.

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობის წინ

## ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებიდან

ამჟამად სსრ კავშირის სოციალისტური საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთისადმი მეგობრული კლასისაგან—მუშებისა და გლეხებისაგან, რომელთა შორის, აგრეთვე ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის, მიჯნები იშლება, თანდათან ჰქრება. სსრ კავშირის მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენს უკლასო სოციალისტური საზოგადოების, კომუნიზმის აქტიურ და შეგნებულ მშენებლებს. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველჰყო ხალხის ჯერ არსად ნახული შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობა; მშრომელთა მორალურ პოლიტიკური ერთიანობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ და მისი ხელმძღვანელობით, ერთიანობა, რომელსაც შეუძლია არა მარტო ბოლო მოუღოს მტრული კლასების ნაშთებს, მათს უცხო გავლენას, და წინაალუდგეს ყოველგვარ მტრულ თავდასხმას გარედან, არამედ აგრეთვე წარმოადგენს ჩვენი სამშობლოს შემდგომი ზრდისა და გაფურჩქვნის საუკეთესო გარანტიას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების გარანტიას.

○

ახლა, როდესაც სსრ კავშირი ჩამოყალიბდა როგორც სოციალისტური სახელმწიფო, როდესაც მან ძირითადად დაამთავრა სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია და მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების ტექნიკის დონის მხრივ ევროპის ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაზე წინ დგას,— ახლა ჩვენ შეგვიძლია მთელი სიგრძე სიგანით პრაქტიკულად დავაყენოთ და კიდეც უნდა დავაყენოთ და განვახორციელოთ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტა: **ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს**, საბოლოოდ გადავჭრათ ეს ამოცანა დროის უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

მოხსენებათა თეზისების განხილვა ამხანაგ **მოლოტოვისა** „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938—1942 წ. წ.)“ და ამხანაგ **ჟდანოვისა** „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“

## უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა

ამხანაგ **მოლოტოვის** მოხსენების თეზისებში ნათქვამია „მოსწავლეთა კონტინგენტი **უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში** აყვანილ იქნას 650 ათას კაცამდე იმ ანგარიშით, რომ მთავარი ყურადღება უახლოეს წლებში მიექცეს უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას“.

მაშასადამე უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა კონტინგენტი მესამე ხუთწლედში საშუალოდ 16 პროცენტით გაიზრდება წინა წლებთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური სამშობლოს მოუმზადოთ ათეულ და ასეულ ათასობით ახალგაზრდა, მეცნიერებას დაუფლებული, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებული კადრები.

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს ბრწყინვალედ შეუძლია შეასრულოს ის ამოცანები, რომელსაც მას უყენებს პარტია და ხელისუფლება მესამე ხუთწლედში. ეს იმიტომ, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ ყოველგვარი პირობები შეჰქმნეს უმაღლეს სკოლებისა და უმაღლეს ტექნიკურ სკოლების საუკეთესოდ მუშაობისათვის. ჩვენ გაგვაჩნია ძლიერი მატერიალური ბაზა, მხოლოდ საჭიროა მუშაობაში **სტალინური** სტილის დანერგვა.

რექტორატმა მთელი აპარატის მუშაობა ისე უნდა გარდაჰქმნას, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების უნაკლოდ შესრულება.

დღემდე კი ჩვენს მუშაობაში ადგილი აქვს ყოვლად არასაპატიო დეფექტებს. მაგალითად ყოველ წლიურად იგვიანებს და ხშირ შემთხვევაში სესიების დამთავრების შემდეგ ხდება პროგრამების გამოცემა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტობაზე.

ჩემი აზრით უნდა გარდაიქმნას სტუდენტთა სასადილოს მუშაობა, საერთო საცხოვრებლებს ესაჭიროება უფრო კულტურულად მოწყობა, როგორც მეცნიერ მუშაკთა, ისე სტუდენტთა სამკითხველოების გაფართოება და სათანადო ლიტერატურით გამდიდრებაა საჭირო, უნდა უზრუნველყოფილ იქნას ლაბორატორიებისა და კათედრების მოწყობა ინვენტარითა და ხელსაწყოებით, დროა ვიზრუნოთ მეცნიერ მუშაკთა ბინების აგებაზე, რაზედაც არსებობს საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება. საამისო საშუალება ჩვენ გვაქვს.

ყოველივე ზემოდ დასახელებულის შესრულება საუკეთესო პირობა იქნება ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

კლიმენტი კოპალეიშვილი

## საფაკულტეტო პარტორგანიზაციის შესახებ

**გავეცანი ამხანაგ ჟ დ ა ნ ო ვ ი ს მოხსენების თეზისებს „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“.**

**საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში შეტანილი ცვლილებანი და დამატებანი გამომდინარეობენ საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებიდან. წესდების ახალი ცვლილებანი კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს პარტიას და მას ახალ-ახალ გამარჯვებებისაკენ წაიყვანს.**

**კომუნისტური პარტია ასწავლის მასებს და სწავლობს მასებისაგან. ამიტომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ ჟ დ ა ნ ო ვ ი ს მოხსენების თეზისების „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“—პარტიულ მასის წინაშე განსახილველად დააყენა. როგორც გაზეთიდან გავეცანი, მთელრიგ მოწინავე საწარმოო ორგანიზაციებიდან კომუნისტებს შემოაქვთ კიდევ ახალი დამატებანი ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში. ამ მხრივ მეც მაქვს დამატება.**

**დიდია უმაღლეს სასწავლებლებში მოწინავე პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა მისწრაფება ბოლშევიკური პარტიის რიგებისაკენ, ამის ცოცხალ ფაქტს თბილისის ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს. მაგრამ პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებების განხილვას ძალზე აგვიანდება, რადგან პარტიულ კომიტეტს განცხადებათა სიმრავლის გამო, არა აქვს შესაძლებლობა თავის დროზე დასვას საკითხი პარტიული კრების განსახილველად. ა მ ი ტ ო მ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ე მ ო მ ა ქ ვ ს პ ა რ ტ ი ა ში მ ი ღ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ი ე ც ე ს ს ა ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ო პ ა რ ტ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ს.**

**პარტიული ორგანიზაციის დადგენილებათა თვითეულ სტუდენტამდე დაყვანისა და მისი ცხოვრებაში გატარების მიზნით ფაკულტეტის პარტიულ კრებას მიეცეს უფლება გამოჰყოს კურსორგები კურსების მიხედვით, რომლებიც ისარგებლებენ თათბირების მოწვევის უფლებით.**

**ფაკულტეტის მასშტაბით, სადაც ირიცხება პარტიის არანაკლებ 15 წევრისა ჩამოყალიბდეს პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო და იქ, სადაც თხუთმეტზე ნაკლებია პარტორგი ორი მოადგილით, ხოლო უნივერსიტეტის მასშტაბით ბიუროკოლექტივი.**

**გ. ბერიაშვილი**

**ისტორიის ფაკულტეტის პარტორგი**



**სურათზე: XVIII პარტყრილობაზე ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს სტუდენტებთან კითხულობს ლენინიზმის კაბინეტის კონსულტანტი ამხ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე.**

## ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებიდან

...ამ ახალ ვითარებაში მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ შეცვლილ იქნას პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობები, რომლებსაც ითვალისწინებს წესდება. პარტიაში მიღების წესი, რომელიც ამჟამად მოქმედებს პარტიის წესდების თანახმად და რომლის საფუძველზედაც მიღება ხდება ოთხი სხვადასხვა კატეგორიით პარტიაში შემსვლელის სოციალური მდგომარეობის მიხედვით, აშკარად არ შეესაბამება საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას, რომელიც შეიცვალა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად. უკვე აღარ არის საჭირო პარტიაში მიღების დროს სხვადასხვა კატეგორიებისა და სხვადასხვა საკანდიდატო სტაჟის დაწესება. ამასთან დაკავშირებით პარტიაში ყველა შემსვლელისათვის უნდა დაწესდეს მიღების ერთიანი პირობები და ერთნაირი საკანდიდატო სტაჟი, დამოუკიდებლად იმისა—ეკუთვნიან ისინი მუშათა კლასს, გლეხობას თუ ინტელიგენციას.

○

საჭიროა პარტიის წევრთა და მათ მოვალეობათა შესახებ არსებული საწესდებო დებულება შეივსოს დებულებით პარტიის წევრთა უფლებების შესახებ, რომლებიც თავისთავად იგულისხმებიან, მაგრამ წესდებაში აღნიშნული არ არიან. პარტიის წესდების ასეთი შევსება პარტიის წევრთა აქტივობის ზრდას შეესაბამება და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გავზარდოთ პასუხისმგებლობა პარტიის საქმისათვის, რომ დავიცვათ პარტიის წევრები ბიუროკრატიზმის გამოვლინებისაგან. პარტიის წესდების მე-57 პარაგრაფი ამბობს, რომ: „პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალი და საქმიანი განხილვა ცალკეულ ორგანიზაციებში ან მთლიანად პარტიაში წარმოადგენს პარტიის თვითეული წევრის უდავო უფლებას, რაც შინა პარტიული დემოკრატიიდან გამომდინარეობს“.

გარდა ამ უფლებისა, წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნას პარტიის წევრთა შემდეგი უფლებები:

ა) პარტიის წევრთა უფლება — გააკრიტიკონ პარტიულ კრებებზე პარტიის ყოველი მუშაკი;

ბ) პარტიის წევრთა უფლება — აირჩიონ და არჩეულ იქნან პარტიულ ორგანოებში;

გ) პარტიის წევრთა უფლება — მოითხოვონ პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მათი საქმიანობის ან საქციელის შესახებ;

დ) პარტიის წევრთა უფლება — მიმართონ ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით ყოველ პარტიულ ინსტანციას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც კი.



უნივერსიტეტის მეორე სართულზე დერეფანში მოეწყო კიევის უნივერსიტეტთან შეჯიბრების კუთხე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: შეჯიბრების კუთხე, სადაც სტუდენტები ეცნობიან ხელშეკრულებას. გაფორმება მხატვარ პ. ლამბაშიძისა, ფოტო ფურცელაძის.

# ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

8 თებერვალს გაზეთ „ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციაში შესდგა პარტორგების, კედლის გაზეთის რედაქტორებისა და რედკოლეგიათა წევრების თათბირი.

თათბირზე XVIII პარტყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით კედლის გაზეთის ამოცანებზე სიტყვით გამოვიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" წარმომადგენელი ამხ. იმნაძე, რომელმაც თათბირის დამსწრეთ დაუსახა ღონისძიებანი კედლის გაზეთის ამოცანებზე ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით.

შემდეგი თათბირი პარტორგების, კედლის გაზეთის რედაქტორებისა და რედკოლეგიათა წევრების მოწვეულია 28 თებერვალს. ამ თათბირზე განხილულ იქნება ცალკეულ ფაკულტეტების კედლის გაზეთები თუ რამდენად აშუქებენ ისინი XVIII პარტყრილობისათვის სამზადისის მიმდინარეობას.

## ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲚᲕᲔᲕᲐ

1938 წელს უნივერსიტეტში თითქმის ჩაიშალა სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევის საქმე. დაზღვევის გეგმა მხოლოდ სამოცი პროცენტით შესრულდა. ამიტომ გვესაჭიროება დახმარება განსაკუთრებით ადგილკომისა და პროფკომებისაგან, რომ სიცოცხლის დაზღვევის მიმდინარე წლის გეგმა შესრულდეს.

სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა, ეს ყველასათვის სავალდებულოა იმდენად, რამდენადაც ეს წარმომადგენს უბედურების შემთხვევაში ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფას.

სიცოცხლის დაზღვევის რწმუნებულთან, გარდა პირადი დაზღვევისა, ყველას შეუძლია დააზღვიოს თავისი ქონება შეუფასებლად 5 ათასიდან 10 ათას მანეთამდე, ხოლო შეფასებით 50 ათას მანეთამდე, რომლებიც იხდიან თვითეულ ათას მანეთზე წელიწადში ერთ მანეთს.

ᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲙᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
სოცდაზღვევის რწმუნებული

# ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲣᲮᲘᲚᲐᲕᲗ

კიევის უნივერსიტეტთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების მეორე პარაგრაფის მეათე მუხლში ჩაწერილია, რომ სემესტრის დასასრულს მოეწყოს სტუდენტთა კრებები ფაკულტეტების მიხედვით შედეგების განხილვისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ეს უთუოდ კარგია. ასეთი კრებები და კონფერენციები ხელს შეუწყობს სწავლის ფრიადოსნების ზრდასა და დისციპლინის განმტკიცებას, მაგრამ შეჯიბრების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეათე მუხლი ჯერჯერობით ქაღალდზე რჩება თუ მხედველობაში ბიოლოგიის ფაკულტეტს მივიღებთ.

ბიოლოგიის ფაკულტეტს პირველ სემესტრში აკადემიური წარმატების მხრივ ერთგვარი გაუმჯობესება ეტყობა. გაიზარდა სწავლის ხარისხი. საშუალო ნიშანი უდრის 4,02 ნაცვლად გასულ სემესტრის 3,9-სა. ფრიადოსანია 95 სტუდენტი.

ამავე დროს სესიებზე გამომჟღავნდა სერიოზული ნაკლოვანებანი. ნაწილი სტუდენტებისა სრულებით არ გამოცხადდა გამოცდებზე, ხოლო საგრძნობ ნაწილს სტუდენტებისას—ისევ გამოუცხადებლობის გამო—შეუფასებელი დარჩა 1-2 საგანი.

ფაკულტეტის დეკანატს სემესტრის ბოლოს უნდა განეხილა სტუდენტთა საერთო კრებებზე სემესტრის შედეგები და დაესახა საჭირო ღონისძიებანი მეორე სემესტრში მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ეს დღემდე არ მომხდარა.

Ქ. ᲯᲝᲮᲘᲫᲔ
Ა. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სწავლების ფრიადოსნები მარცხნიდან მარჯვნივ ნატალია გახოკიძე და ხიდონია ჩხაიძე.

## ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲒᲐᲪᲓᲔᲜᲔᲑᲘ

შრომის მაღალი დისციპლინა, ლექციების გაცდენათა სრული ლიკვიდაცია—ასეთი ვალდებულება აქვს აღებული ჩვენს უნივერსიტეტს კიევის უნივერსიტეტთან შეჯიბრებაში.

როგორ ანაღდებს ამ ვალდებულებას ზოგიერთი პედაგოგიური პერსონალი და სტუდენტი? უნდა ითქვას, რომ ძალზე სუსტად.

ადგილი აქვს ლექციების ხშირ გაცდენებსა და დაგვიანებებს. მეორე სემესტრის პირველ სამ დღეში სტუდენტობას უმიზეზოდ გაცდენილი აქვს 4224 საათი და პედპერსონალს 56 საათი. ეს გვეუბნება იმას, რომ უნივერსიტეტში ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა, განსაკუთრებით სტუდენტობაში.

ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა გაცდენები ყველაზე მეტია: ფილოლოგიის, ეკონომიურის, ისტორიისა და იურიდიულ ფაკულტეტებზე.

* * *

რექტორის ბრძანებით 7-10 თებერვლამდე ლექციების უმიზეზო გაცდენებისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხულია 11 სტუდენტი.

# ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲖᲔ

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს უცხო ენების სწავლების საქმეს. საამისოდ შექმნილია პირობებიც. ამ მხრივ ჩვენს უნივერსიტეტში სერიოზული მუშაობა ტარდება. არსებობს უცხო ენათა კათედრა, შერჩეულია ლექტორები, რომლებიც დაინტერესებულია შეასწავლონ სტუდენტებს უცხო ენები ისე, რომ მათ შეეძლოთ წიგნის წაკითხვა თავისი სპეციალობის მიხედვით და მარტივი სასაუბრო ენით ლაპარაკი.

მიუხედავად ამისა უნივერსიტეტის სინამდვილეში უცხო ენათა შესწავლის საქმე ჯერ კიდევ თავის მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. სტუდენტთა საგრძნობი ნაწილი სუსტად ეუფლება უცხო ენებს. ამის ერთერთი მიზეზია ის, რომ სტუდენტთა უმრავლესობა უნივერსიტეტში მოდიან უცხო ენაში სუსტი ცოდნით. საშუალო სკოლიდან მათ არა აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი უცხო ენის შესწავლის საჭიროება, მისი აუცილებლობა. აქედან იქმნება ის მდგომარეობა, რომ უნივერსიტეტში თითქმის თავიდან გვიხდება დავიწყოთ უცხო ენის სწავლება, რაც იწვევს ჩამორჩენას.

კიდევ მეტი. არანორმალურია, როდესაც სტუდენტები მოხვდებიან იმ ჯგუფებში და სწავლობენ იმ უცხო ენას, რომელიც საშუალო სკოლაში არ უსწავლებიათ. ასეთი ფაქტები ჩვენს სინამდვილეში არის. მაგალითად ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე და მესამე კურსის 50 სტუდენტი საშუალო სკოლაში სწავლობდა გერმანულ ენას, უნივერსიტეტში კი მოჰყვენ იმ ჯგუფში, სადაც მეორე წელიწადია ისწავლება ფრანგული ენა. ამრიგად როცა ნაწილ სტუდენტობას გავლილი აქვთ ფრანგული სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი და ჯეროვნად აქვთ ათვისებული (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „პრონონსს" რომელიც შესაძლოა არ იდგეს სათანადო სიმაღლეზე, რადგან კურსზე 60—70 მსმენელია) ნაწილს არაფერი გაეგებათ ამ ენის. ამიტომ ჩემის აზრით სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა განაგრძოს იმ უცხო ენის სწავლა, რომელიც უსწავლია საშუალო სკოლაში. მსურველს კი უნდა ჰქონდეს საშუალება ისწავლოს რამოდენიმე ენა.

ამას ემატება ის ნაკლიც, რომ ჯგუფებში მსმენელთა მეტისმეტად სიმრავლეა. გარდა ამისა ზომებს არ ღებულობენ იმ სტუდენტების წინაალმდეგ, რომლებიც სისტემატურად არ ესწრებიან ლექციებს და არ ასრულებენ სახლში დასამუშავებლად მიცემულ დავალებებს. მაგალითისათვის შემიძლია დავასახელო 170 ჯგუფში მესამე კურსის სტუდენტები გრიგორი ჯოჯუა და ნინო ცომაია. 168 ჯგუფში მესამე კურსის სტუდენტი თინა ბაქრაძე.

მე როგორც საგნის მასწავლებელმა შევეცადე ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე სასურველ შედეგს. აგრეთვე ჩემი ნაკლია, რომ დასახელებულ ნაკლოვანებებზე დროულად ვერ დავსვი საკითხი დეკანატის წინაშე.

უნდა მოეწყოს უცხო ენათა კაბინეტები, სადაც უნდა იყოს მოწყობილი განცალკევებული კუთხეები თვალსაჩინო ადგილებზე წარწერებით, უნდა ვისარგებლოთ პატეფონითაც, რომ მსმენელმა ყური შეაჩვიოს უცხო ენას და შეიმუშაონ სწორი გამოთქმები, ერთსადაიმავე ჯგუფში არ უნდა იცვლებოდეს ლექტორები და ამით გავაძლიერებთ სტუდენტთა მისწრაფებას უცხო ენისადმი.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ
ფრანგული ენის ლექტორი

## ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲐᲗ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის დადგენილებით უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურის სწავლება უნდა სწარმოებდეს არა სამეცადინო დღის დასაწყისში ან შუა დროს, არამედ მეცადინეობის უკანასკნელ საათებში.

სამწუხაროდ ეს მხედველობიდან გამორჩათ ზოგიერთ ფაკულტეტის ხელმძღვანელებს და მეორე სემესტრის ცხრილების შედგენისას დაუშვეს აღნიშნული დადგენილების დარღვევა.

მაგალითად ეკონომიური ფაკულტეტის 36—37 ჯგუფებში ფიზკულტურას დილის საათები აქვს დათმობილი.

მსგავსი მდგომარეობაა გეოგრაფ-გეოლოგიურ და ისტორიის ფაკულტეტებზეც.

ეს მდგომარეობა ფაკულტეტის ხელმძღვანელებმა დროულად უნდა გამოასწორონ.

## პრესის მიმოხილვა

# გაზეთის გამოშვება დააჩქარეთ

უნივერსიტეტში საფაკულტეტო კედლის გაზეთების უმრავლესობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. გ.ნ. საკუთრებით ეს ითქმის ეკონომიური ფაკულტეტის კედლის გაზეთზე—„ლენინის გზით“. რედაქტორი ალ. მდინარაძე.

პირველყოვლისა ეს გაზეთი გამოდის უნომროდ, ურიცხვოდ.

ამაზე კიდევ არაფერს ვიტყოდი, რომ სისტემატურად გამოდიოდეს. მაგრამ როგორც შინაარსიდან გავიგეთ გაზეთის უკანასკნელი ნომერი გამოშვებულია 7 ნოემბერს და მას შემდეგ სამთვეზე მეტია, რაც გაზეთი არ გამოსულა.

უკანასკნელი ნომერი კი ძალზე დაბალხარისხოვანია შინაარსის მხრივ, არ არის შესაფერისად გაფორმებული. გამოქვეყნებული წერილები ზოგადია, დაწერილია დამახინჯებული ენით.

გაზეთში მხოლოდ 4 წერილია მოთავსებული, ამათგან 3 ზოგადი. მარტოლომიძის წერილს დაკავებული აქვს 4 სვეტი, რაც კედლის გაზეთისათვის ყოვლად დაუშვებელია. წერილები კედლის გაზეთში რაც შეიძლება უნდა იყოს მოკლე და შინაარსიანი. დასახელებულ ნომერში სრულებით არ არის კრიტიკული წერილები. გაზეთის ასეთი არადამაკმაყოფილებელი მუშაობა რედაქტორისა და რედკოლეგიის დაუდევარ მუშაობასთან ერთად უნდა აიხსნას მათზე ფაკულტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობით.

უკანასკნელ დღეებში ფაკულტეტის პარტორგანიზაციამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები გაზეთზე დახმარების მიზნით. ვნახოთ შედეგი.

## კიოსკი ცუდად მუშაობს

**უნივერსიტეტში არსებობს სოიუზპეჩატის კიოსკი, მაგრამ ძალზე ცუდად მუშაობს. აქ თავის დროზე ვერ იშოვით ჟურნალ-გაზეთებს, გაზეთები მოაქვთ დღის ბოლოს 3—4 საათზე და ისიც არასაკმაო რაოდენობით. გარდა ამისა კიოსკი იღება მხოლოდ მაშინ, როცა ამას თვითონ მისი გამგე მოისურვებს.**

ი. გოლქვაძე



**სურათზე: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტდარბაზში ვარჯიშობენ სტუდენტი ქალები.**

ფოტო ქრონიკა.

## არდადეგებზე კულტმომსახურება

არდადეგების პერიოდში სტუდენტთათვის კულტმომსახურების გაწევის მიზნით შედგენილი გეგმა უკლებლივ შესრულდა.

უნივერსიტეტის კლუბში ჩატარდა შემდეგი სანახაობანი:

25 იანვარს სტუდენტთა თვითმოქმედი წრეების სალამო, ფიზკულტურის დარბაზში კი ევროპული ცეკვები, 26 იანვარს სტუდენტთა თეატრის წარმოდგენა „ჩემი მეომარი“, ფიზკულტურის დარბაზში ფრენბურთისა და კალათბურთის სექციების შეჯიბრება, 27 იანვარს საქფილევგთის ძალებით კონცერტი, ფიზკულტურის დარბაზში ცეკვები, 28 იანვარს კინო „კატერინა“, 29 იანვარს წარმოდგენა „ჩემი მეომარი“, 31 იანვარს მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა „უჩინ-მაჩინი“, 1 თებერვალს საქფილევგთის ძალებით კონცერტი, 2 თებერვალს კინო „თოფიანი კაცი“, 3 თებერვალს მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა „ხაჯარათი“, 5 თებერვალს საქფილევგთის ძალებით კონცერტი.

ამავე დროს ეწყობოდა სტუდენტთა კოლექტიური სვლები თბილისის კინო თეატრებში და ცირკში.

ა. მასხარაშვილი

## ბათუმ-სუხუმის მიმართულებით

არდადეგების პერიოდში მოეწყო 30 ფრიადოსან სტუდენტთა ექსკურსია ბათუმ-სუხუმის მიმართულებით. ექსკურსანტებმა ბათუმში დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის დაუღალავად მუშაობდა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი**. ვნახეთ რევოლუციური მუზეუმი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ექსკურსანტზე.

აგრეთვე ვნახეთ ბოტანიკური ბაღი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

31 იანვარს გემ „**სვანეთით**“ გავემგზავრეთ სუხუმში, იქ დავათვალიერეთ საინტერესო ადგილები. სუხუმის მიდამოების სილამაზემ ყველა ექსკურსანტი მოგვხიბლა. ექსკურსანტები საუცხოო შთაბეჭდილებით დავბრუნდით და 7 თებერვლიდან ენერგიულად შევუდექით სწავლას.

ს. ასაბაშვილი.

# ადგილკომის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

ამ დღეებში ჩატარდა თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომის საანგარიშო-საარჩევნო კრება. დაესწრო 600 კაცი.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, კრებამ საპატიო პრეზიდიუმში მხურვალე ოვაციებით აირჩია პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები დიდი **სტალინის** მეთაურობით. ამხანაგ **სტალინის** და მისი თანამებრძოლთა სახელების ხსენებას კრება ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით შეხვდა.

კრებაზე ადგილკომის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ჩხეტიამ** და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ ამხ. **ა. ინწკირველმა**.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ბერაძე, გოგლიძე, ახალაძე, ბაქრაძე, მესხი, აბესაძე, მიქაია, გოგუაძე, ა. ხარაძე, ჩერქეზიშვილი, ხიდაშვილი, მიქაძე, ბეროზაშვილი, დევიძე** და სხვები.

როგორც მომხსენებელმა ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებასთან ერთად გააკრიტიკეს ადგილკომის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

კრებაზე აღინიშნა, რომ ადგილკომს წლისა და 7 თვის განმავლობაში არ მოუწვევია კავშირის წევრთა ს ერთო კრება, სათავეში ვერ ჩაუდგა სოცშეჯიბრებას, არ ახდენდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, რის შედეგად სოცშეჯიბრება უმეტეს შემთხვევაში ატარებდა ფორმალურ ხასიათს, არა წესიერად ახდენდა მუშაკთა დაჯილდოვებას და საგზურების განაწილებას, ძალზე დაბალი იყო შრომის დისციპლინა. აგრეთვე ითქვა, რომ ადგილკომი სუსტად მუშაობდა მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციაზე.

ადგილკომის მუშაობაში ნაკლოვანებები გაცილებით იმაზე უფრო მეტია, რაც კრებაზე ითქვა, მაგრამ მოკამათეთა თითქმის უმრავლესობა „ფრთხილად“ გამოდიოდა, გვერდს უვლიდნენ კონკრეტული ფაქტებით ნაკლოვანებათა გამომზეურებას და ამის შედეგად ადგილკომის მუშაობაც დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

კრებამ ადგილკომის ახალ შემადგენლობას დაუსახა შემდგომი მუშაობის ღონისძიებანი.

ადგილკომმა მომავალ მუშაობაში საჭიროა იხელმძღვანელოს ამ მითითებებით და უახლოეს დროში უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.

დასასრულ ფარული კენჭისყრით ჩატარდა ადგილკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ადგილკომის შემადგენლობაში არჩეულია 11 და სარევიზიო კომისიაში 5 კაცი.

9 თებერვალს ჩატარდა ახლად არჩეული ადგილკომის პირველი სხდომა, სადაც ადგილკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **ა. ინწკირველი** პ/მგ. მდივნად ამხ. **ქ. კოპალეიშვილი** და ხაზინადრად ამხ. **ვ. გოგუაძე**. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. **ნ. ლომსაძე** და მდივნად ამხ. **მ. ბერაძე**.

# ექსკურსია ბაქოში

29 იანვარს, თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 40 ფრიადოსან სტუდენტთაგან შემდგარი ექსკურსანტთა ჯგუფი მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ **ბაქოში** ვიყავით. ვესტუმრეთ ბაქოს უნივერსიტეტს, დავათვალიერეთ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებიც. იგი სანიმუშოდ მორთული და მოწყობილია.

30 იანვარს დავათვალიერეთ ქალაქის თვალსაჩინო ადგილები. პირველად ვესტუმრეთ რევოლუციურ მუზეუმს, სადაც თვალწინ გადაგვეშალა **ლენინის, სტალინისა** და მათი თანამებრძოლთა მიერ ჩატარებული გმირული ბრძოლები მშრომელთა განთავისუფლების საქმეში. ამაღელვებლად მოქმედობს ყველაზე დიდი ფერწერით შესრულებული სურათი „26 კომისრის დახვრეტა“. დათვალიერების შემდეგ ალბომში ვსწერთ იმ უდიდეს შთაბეჭდილებებს, რომელიც მუზეუმის ნახვამ მოახდინა ჩვენზე.

შემდეგ პატარა მატარებლით გავემგზავრეთ ლენინის ბუხტისაკენ, გზადაგზა ვხედავთ უამრავ ნავთის ჭაბურღილებს, რასაც განცვიფრებაში მოვყევართ. მივედით ბუხტში.

„ეს ადგილი წინათ ზღვით იყო დაფარული—გვიხსნის ადგილობრივი ინჟინერი—ახლა კი ზღვა აქედან მოშორებითაა. ეს უდიდესი სამუშაო შეასრულა ბაქოს მშრომელებმა პარტიისა და მთავრობის უდიდესი დახმარებით, პირადად დიდი **სტალინის** მითითებით“.

31 იანვარს ვინახულეთ რესტავრირებული არალეგალური სტამბა, რომელიც დაარსებული იქნა ამხანაგ **სტალინის** და **ლადო კეცხოველის** უშუალო ხელმძღვანელობით. განცვიფრებაში მოდიხარ სტამბის კონსპირატიულობით. სტამბის ოთახში ყველაფერი ისეა აღდგენილი როგორც ეს სინამდვილეში იყო. აგერ შრიფტი, საბეჭდი მანქანა, ქაღალდი... იქ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება თითქოს რევოლუციური პათოსით აღგზნებული ლადო ახლა შეუდგება მუშაობასო.

ამას გარდა დავათვალიერეთ ბაქოს სხვა შესანიშნავი ადგილები. ვნახეთ ფეოდალიზმის ისტორიის მუზეუმი—ყოფილი ხანის სასახლე, აგრეთვე ხელოვნებ-ს მუზეუმი. დავესწარით აზერბაიჯანულ ოპერა „ქოროღლის“ და ძალიან მოგვეწონა.

ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ ამ მეტად შესანიშნავ ექსკურსიით.

ვ. ჯანიბეგაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

გრ. ხურცილავა

დაკარგულია ალექსანდრე მგალობლიშვილის—მატრიკული.

— ლუბა კოპალიანის—მატრიკული № 38739

— ნიკოლოზ ბრეგვაძის—კავშირის წიგნაკი № 392932.

— ბ. ი ყავრიშვილის—კავშირის წიგნაკი № 192660.

— კარლო ეკიზაშვილის—კავშირის წიგნაკი და მატრიკული

— გივი ღლონტის—სტუდენტობის მოწმობა

— გრიგოლ ბუცხრიკიძის—სტუდენტობის მოწმობა და მატრიკული.

— ვასილ გოჩალეიშვილის — პროფკავშირის წიგნაკი.

— ეთერი შალიბაშვილის—სტუდენტობის ბილეთი № 370751

— ქ. მამინაიშვილის—სტუდენტობის ბილეთი № 370702

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია. მარის ქ. № 1. ტირაჟი 3.000 მთავლიტის რწმ. № ა—1948.

ეროვნული ბიბლიოთეკა